

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის  
მიზნობრივი პროგრამა

2017 წლისათვის  
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

ომის მონაწილეებსა და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე  
სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება

2. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

“1 იანვარი“ 2017წ.  
“31 დეკემბერი“ 2017წ.

3. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით: 06 02 02

4. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

5650 (ხუთიათასექვსასორმოცდაათი) ლარი.

5. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი – 5650 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

**7. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:**

ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა სამშობლოს წინაშე დგასდამოსილ ადამიანებს, კერძოდ ვეტერანების და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის, ბევრი რამ კეთდება მათი საყოფაცხოვრებო პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა ვეტერანების და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს უკვდავყოფის, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებას და გარკვეულ ვეტერანთა ოჯახებზე მატერიალური დახმარების გაწევას.

პროგრამის კომპონენტი, გარდაცვლილ ომის მონაწილეთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება, რეგულირდება საქართველოს კანონი „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“. მე-11 მუხლის I პუნქტის თანახმად.

**8. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:**

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
1	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირობის, ომში დარღუპულთა ოჯახების წევრების, სამხედრო ძალების ვეტერანების უკვდავყოფისა და სადღესასწაულო დღეების ორგანიზება.	პროგრამით განსაზღვრულ ბენეფიციართა მატერიალური დახმარებით მოცვის მაჩვენებელი
2	ომის მონაწილეებისა და დაღუპულთა ოჯახების მატერიალური დახმარების გაწევა.	მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება

**9. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:**

2017 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	უკვდავყოფისა და სადღესასწაულო დღეების ორგანიზება, დახმარების გაწევა ომის მონაწილეებსა და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე					X				X			
2	გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

**10. პროგრამით მოსარგებლე პირები:**

პროგრამით ისარგებლებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებების ინვალიდები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახები, გარდაცვლილ ვეტერანთა (ომის მონაწილეთა) ოჯახები. სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე (ავღანეთი) საბრძოლო მოქმედებების ინვალიდები.

**11. პროგრამის მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:**

1. სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ბაზის შესაბამისად (საქართველოში მხოვრები ვეტერანები).
2. გარდაცვალილ ვეტერანთა ოჯახებიდან შემოსული განცხადებები.

**12. პროგრამის ბიუჯეტი**

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

№	წყაროს დასახელება	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი	სულ
	ძირითადი				
	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი	5650			5650
	სულ	5650			5650

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასახელება	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი)
1	<b>15 თებერვალი</b> – ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის დღესთან დაკავშირებით				<b>600</b>
	ავღანეთის ბრძოლებში დაინვალიდებული პირებზე ერთჯერადი მატერიალური	ბენეფიციარი	2	300	600

	დახმარება				
2	<b>9 მაისი</b> – ფაშიზზე გამარჯვების 72 წლისთავთან დაკავშირებული ღონისძიებები:				<b>1500</b>
	მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება.	ბენეფიციარი	1	500	500
	მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება.	ბენეფიციარი	3	300	900
	ობელისკის შესამკობად ყვავილების შეძენა.	გვირგვინი	1	100	100
3	<b>27 სექტემბერი</b> – სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები მათ შორის:				<b>2550</b>
	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებების ინვალიდებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება.	ბენეფიციარი	1	500	500
	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება.	ბენეფიციარი	5	400	2000
	საფლავების შემკობა	გვირგვინი	1	50	50
4	გარდაცვლილ ომის მონაწილეთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება	ოჯახი	4	250	<b>1000</b>
სულ ჯამი					<b>5650</b>

**13. საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებელი სახელმწიფო შესყიდვები:**

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება და მოკლე აღწერა	შესყიდვის განხორციელების ვადები	შესყიდვის განხორციელების ფორმა	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	ყვავილების შესყიდვა	II კვარტალი 2017 წელი	გამარტივებული შესყიდვა	150	
სულ ჯამი				150	

**დამატებითი ინფორმაცია:**

მატერიალური რესურსის გაცემა სქემა:

პროგრამის რეალიზაციაში მონაწილე ორგანიზაციის შერჩევა განხორციელდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად. დაფინანსება განხორციელდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და დაწესებულებას შორის დადებული ხელშეკრულების პირობებით.

პროგრამის “მიმწოდებლის“ დაფინანსება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს მოცულობით.

ომის მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში, ოჯახზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გასაცემად წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის განცხადება მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;
2. ოჯახის უფლებამოსილი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
3. გარდაცვალების მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
4. გარდაცვლილის ვეტერანის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;
5. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტები.

ფინანსური დახმარება გაიცემა უნაღლო ანგარიშსწორებით, განმცხადებლის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით.